იურიდიული დახმარების სამსახური

მის: რუსთაველის №30, 0146
თბილისი, საქართველო
ტელ.: +995 /32/ 292-00-55
ელ-ფოსტა: council@legalaid.ge
ვებ-გვერდი: www.legalaid.ge

იურიდიული დახმარების საბჭო

№ 19 "3" აპრილი 2015 წ.

მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში რეგისტრირებულ საზოგადოებრივ ადვოკატთა სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალწარმოების საქმეებზე ანგარიშგების წესისა და ფორმის დამტკიცების შესახებ

„იურიდიული დახმარების შესახებ" საქართველოს კანონის მე–11 მუხლის პირველი პუნქტის „ი" ქვეპუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად, **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა**

1. დამტკიცდეს მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში (შემდგომში - რეესტრი) რეგისტრირებულ საზოგადოებრივ ადვოკატთა (შემდგომში - ადვოკატი) სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალწარმოების საქმეებზე ანგარიშგების წესი (დანართი №1).
2. დამტკიცდეს რეესტრის ადვოკატთა სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალწარმოების საქმეებზე ანგარიშგების ფორმა (დანართი №2).
3. ეს გადაწყვეტილება გავრცელდეს რეესტრის ადვოკატთა მიერ წარმოებაში მიღებულ სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალწარმოების საქმეებზე.
4. გადაწყვეტილება ამოქმედდეს 2015 წლის 15 აპრილიდან.
5. გადაწყვეტილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა განხორციელდეს იურიდიული დახმარების საბჭოს გადაწყვეტილებით.

იურიდიული დახმარების საბჭოს თავმჯდომარე **ელზა ლეშკაშელი**

საბჭოს წევრები

ეკატერინე ფოფხაძე

ნათია ჩირიკაშვილი

ილია ჭანტურაია

ბონდო ალასანია

ვალერი კვანტალიანი

კახაბერ სოფრომაძე

მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში რეგისტრირებულ საზოგადოებრივ ადვოკატთა ანგარიშგების წესი სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალწარმოების საქმეებზე

1. რეესტრის ფორმირების შემდგომ რეესტრში რეგისტრირებულ ადვოკატსა და იურიდიული დახმარების სამსახურს შორის ფორმდება ხელშეკრულება, რომელიც განსაზღვრავს ადვოკატთა საქმიანობის პირობებს, მათ უფლებებსა და მოვალეობებს.

2. სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალწარმოების პროცესში ადვოკატის ჩართვას უზრუნველყოფს იურიდიული დახმარების ბიურო (შემდგომში – ბიურო), შესაბამისი იურიდიული დახმარების მიმწოდებელი (შემდგომში – მიმწოდებელი) ან საკონსულტაციო ცენტრი.

3. ადვოკატის საქმეში ჩართვის პროცედურა „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში განისაზღვრება იურიდიული დახმარების სამსახურის დებულებით.

4. ადვოკატი საქმის წარმოების დასრულებიდან მაქსიმალურად შემჭიდროებულ ვადაში (საქმის წარმოების დასრულებიდან ან ერთი ინსტანციის დასრულებიდან მაქსიმუმ სამი თვის ვადაში) სამოქალაქო ან ადმინისტრაციულ საქმეზე განხორციელებული საქმიანობის შესახებ ანგარიშს წარუდგენს ბიუროს, მიმწოდებელს ან საკონსულტაციო ცენტრს, კერძოდ, ადვოკატი წარადგენს: წერილს წარმოებული საქმის დამადასტურებელი წერილობითი დოკუმენტაციის წარდგენის შესახებ, დოკუმენტების სიას, წარმოებული საქმის თავფურცელს, მისი მონაწილეობით წარმოებულ სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეზე შევსებულ ანკეტას, ანგარიშგებას განხორციელებული საქმიანობის შესახებ და იმ წერილობითი დოკუმენტების (განცხადება, განჩინება, ორდერი, რწმუნებულება, სარჩელი, შესაგებელი, შეგებებული სარჩელი, შუამდგომლობა, საჩივარი, ცნობა, ოქმი, შუალედური თუ საბოლოო შემაჯამებელი გადაწყვეტილება და სხვა) ასლებს, რომლებიც შედგენილ იქნა მის მიერ ან/და ადასტურებს მის მონაწილეობას სხვადასხვა საპროცესო მოქმედებებში. ასევე, საჭიროებისამებრ, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული საქმის სხვა მასალების ასლებს.

5. ადვოკატის საქმიანობის ანაზღაურება ხორციელდება ამ გადაწყვეტილებით განსაზღვრული წესით წარდგენილი ანგარიშის საფუძველზე.

6. რეესტრში რეგისტრაცია და საადვოკატო საქმიანობის სახელმწიფოს ხარჯზე განხორციელება არ ართმევს ადვოკატს უფლებას ეწეოდეს სხვა ანაზღაურებად საქმიანობას.

დანართი #2

მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში რეგისტრირებულ საზოგადოებრივ ადვოკატთა ანგარიშგების ფორმა სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალწარმოების საქმეებზე

(ივსება რეესტრის ადვოკატის მიერ და წარედგინება იურიდიული დახმარების ბიუროს/იურიდიული დახმარების მიმწოდებელს/საკონსულტაციო ცენტრს)

---------- ----------

(ბიურო/მიმწოდებელი/საკონსულტაციო ცენტრი) (საქმე №)

რეესტრის ადვოკატის სახელი, გვარი: _____

საქმეში ჩართვის თარიღი: ____ ____ _____

დასაცავი პირის სახელი, გვარი: _____

საქმის კატეგორია: □ არასასარჩელო წარმოება □ სასარჩელო წარმოება □ რამდენიმე პირის დაცვა

დასაცავი პირის სტატუსი: □ მოსარჩელე □ მოპასუხე □ მესამე პირი □ მსხვერპლი □ ადმინისტრაციული სამართალდამრღვევი □ განმცხადებელი

საქმის სტადია: □ პირველი ინსტანცია □ აპელაცია □ კასაცია

სამართლის დარგი: □ სამოქალაქო □ ადმინისტრაციული

ანაზღაურება საქმეში ჩართვისათვის	რეესტრის მენეჯერის შეფასება (ივსება მენეჯერის მიერ) ანაზღაურება
არასასარჩელო წარმოება	
სასარჩელო წარმოება	
რამდენიმე პირის დაცვა	

პირველი ინსტანცია

განხორციელებული მოქმედებები	ადვოკატის პოზიცია	რეესტრის მენეჯერის შეფასება (ივსება მენეჯერის მიერ)		
	მონიშნეთ (1,2,3)	გაზიარებული	არგაზიარებული	ანაზღაურება
1. განცხადების/სარჩელის/შესაგებლის/შეგებებული სარჩელის მომზადება და წარდგენა				
2. საქმის ფაქტობრივი გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებების მოპოვება და წარდგენა				
3. ექსერტიზის დანიშვნა და დასკვნის წარდგენა				
4. ადგილზე დათვალიერებაში მონაწილეობა				
5. მოწმეთა დაკითხვაში მონაწილეობა				
6. მოწმე ექსპერტისა და სპეციალისტის დაკითხვაში მონაწილეობა				
7. სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების მომზადება და წარდგენა				
8. შუამდგომლობის მომზადება და წარდგენა				
9. განცხადების მომზადება და წარდგენა (სასამართლოს გარდა)				
10. საჩივრის მომზადება და წარდგენა				
11. კერძო საჩივრის მომზადება და წარდგენა				
12. სასამართლო სხდომებში მონაწილეობა				

აპელაცია

განხორციელებული მოქმედებები	ადვოკატის პოზიცია	რეესტრის მენეჯერის შეფასება (ივსება მენეჯერის მიერ)		
	მონიშნეთ (1,2,3)	გაზიარებული	არგაზიარებული	ანაზღაურება
1. სააპელაციო საჩივრის/შესაგებლის/შეგებებული სააპელაციო საჩივარის მომზადება და წარდგენა				
2. საქმის ფაქტობრივი გარემოებების დამადასტურებელი ახალი მტკიცებულებების მოპოვება და წარდგენა				
3. ექსერტიზის დანიშვნა და დასკვნის წარდგენა				
4. ადგილზე დათვალიერებაში მონაწილეობა				
5. მოწმეთა დაკითხვაში მონაწილეობა				
6. მოწმე ექსპერტისა და სპეციალისტის დაკითხვაში მონაწილეობა				
7. სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების მომზადება და წარდგენა				
8. შუამდგომლობის მომზადება და წარდგენა				
9. განცხადების მომზადება და წარდგენა (სასამართლოს გარდა)				
10. საჩივრის მომზადება და წარდგენა				
11. კერძო საჩივრის მომზადება და წარდგენა				
12. სასამართლო სხდომებში მონაწილეობა				

კასაცია

განხორციელებული მოქმედებები	ადვოკატის პოზიცია	რეესტრის მენეჯერის შეფასება (ივსება მენეჯერის მიერ)		
	მონიშნეთ (1,2,3)	გაზიარებული	არგაზიარებული	ანაზღაურება
1. საკასაციო საჩივრის/შესაგებლის/შეგებებული საკასაციო საჩივრის წარდგენა				
2. საკასაციო საჩივარზე მოსაზრების მომზადება და წარდგენა				
3. მონაწილეობა საკასაციო საჩივრის განხილვაში				

დამატებითი ანაზღაურება სისხლის სამართლის საქმეზე დამდგარი შედეგებისათვის

	შედეგი	ადვოკატის პოზიცია	რეესტრის მენეჯერის შეფასება (ივსება მენეჯერის მიერ)		
		მონიშნეთ (1,2,3)	გაზიარებული	არგაზიარებული	ანაზღაურება
1.	საქმის მორიგებით/მედიაციით დასრულება				
2.	არასასარჩელო წარმოებისას მოთხოვნის (მოთხოვნების) სრულად დაკმაყოფილება				
3.	არასასარჩელო წარმოებისას მოთხოვნის ნაწილობრივ დაკმაყოფილება				
4.	სასარჩელო წარმოებისას მოთხოვნის (მოთხოვნების) სრულად დაკმაყოფილება				
5.	სასარჩელო წარმოებისას მოთხოვნის ნაწილობრივ დაკმაყოფილება				
6.	რამდენიმე პირის დაცვის განხორციელებისას მოთხოვნის (მოთხოვნების) სრულად დაკმაყოფილება				
7.	რამდენიმე პირის დაცვის განხორციელებისას მოთხოვნის ნაწილობრივ დაკმაყოფილება				

8.	კერძო საჩივრის დაკმაყოფილება				
9.	კერძო საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილება				
10.	სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების დაკმაყოფილება				
11.	სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების ნაწილობრივ დაკმაყოფილება				
12.	გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ განცხადების დაკმაყოფილება				
13.	გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ განცხადების ნაწილობრივ დაკმაყოფილება				
14.	სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების თაობაზე საჩივრის დაკმაყოფილება				
15.	სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების თაობაზე საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილება				
16.	გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის გაუქმების თაობაზე საჩივრის დაკმაყოფილება				
17.	გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის გაუქმების თაობაზე საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილება				
18.	დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე საჩივრის დაკმაყოფილება				
19.	დროებითი განკარგულების შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილება				
20.	დროებითი განკარგულების შესახებ შუამდგომლობის ნაწილობრივ დაკმაყოფილება				
21.	დროებითი განკარგულების გაუქმების თაობაზე საჩივრის დაკმაყოფილება				
22.	დროებითი განკარგულების გაუქმების თაობაზე საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილება				

	ადვოკატის პოზიცია	რეესტრის მენეჯერის შეფასება (ივსება მენეჯერის მიერ)		
შეხვედრა დროებითი მოთავსების, პატიმრობის ან თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მყოფ დასაცავ პირთან	მონიშნეთ (1,2,3)	გაზიარებული	არგაზიარებული	ანაზღაურება
შეხვედრების რაოდენობა				

შენიშვნა: ----------

_____ _____

ბიუროს უფროსი/მიმწოდებელი/კონსულტანტი

რეესტრის ადვოკატი

____ ____ _____

(თარიღი)

ადვოკატისთვის ასანაზღაურებელი თანხის ოდენობა: _____ ლარი

დადგინდა თუ არა ხარვეზი: არა ☐ დიახ ☐

აღმოიფხვრა თუ არა ხარვეზი: არა ☐ დიახ ☐

რეესტრის მენეჯერი: _____

ადმინისტრაციული სამმართველოს უფროსი: _____

სამსახურის დირექტორი: _____

(თარიღი)